იდინაუ

გაუმარჯოს ყველას!

ეს არის სტუდია “იდინაუ სტუდიოს” პირველი ჩანაწერი.

თემაა - არ აწყენინო ბუნებას. ბუნებასო კენჭი თუ ესროლე, ის მთას გესვრის. - ამბობს ხალხი.

იმიტომ, რომ ბუნება გამგებელია ჩვენი მიწიერი, ზეციური სამყაროსი. დიდია და წყენაც დიდი იცის და სიხარულიც. ჰოო… მე ლუხუმი ვარ. გამარჯობა ვინც ხართ ჩემს გვერდზე და ვინც მერე იქნებით. კეთილი იყოს თქვენი შემოსვლა “იდინაუ სტუდიოს” გვერდზე!

მე, მქვია ლუხუმი. მოგესალმებით ყველას - ყველას. ისე ლუხუმად ბევრი არ მომმართავს, ყველა “იდინაუს” მეძახის. იდინაუ და იდინაუ. დამიძახონ მერე. არცა მწყინს და რაცა მილხინს “იდინაუს”, რომ მეძახიან? მართლა - მართლა. ბოლო - ბოლო როცა უკვე ყველა მხრიდან დამიწყეს იდინაუ-იდინაუს ძახილი, გადმოვდექი ჩემს აივანზე, ავიღე მეგაფონი და საზოგადოებას ასე მივმართე - ლუხუმი მქვია, ლუხუმი… და თუ თქვენ არა გრცხვენიათ დამიძახეთ იდინაუ. განა ცუდი ზედმეტ - სახელია? მაგრამ მაინც ზედმეტ - სახელია და არა სახელი. ალბათ გაინტერესებთ რატომ შემაქრვეს “იდინაუ”? ჰმ, მერე გეტყვით.

ახლა, კი დავუბრუნდები მიას რამისთვის ვაკეთებ ამ ჩანაწერს. არ მინდა დრო დავკარგო, არც ჩემი და არც თქვენი. ყველა ლაპარაკობს, იმაზე რომ დრო აირია. სამყარო გაგიჟდა. ლამის აპოკალიფსი მოდისო. ხალხი გაბოროტდაო, სასტიკი და ხისტი გახდაო.

ეს, კიდევო იმის ბრალიაო, რომ ადამიანები ცოდვებს ჩადიანო. სულ ცოდვებზე ფიქრობენო და ათასი ამდაგვარი სისულელეზეო.

ადამიანებს ბუნებაც აყვაო. ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის ან ზნესაო. ჰოდა, როცა ერთი გიჟდება, მეორეც აჰყვება და თუ მესამეც აჰყვა, დედა გვაქვს ნატირები. განკითხვის დღეც დადგებაო. დედაო შვილს არ აიყვანს ხელში, ისეთი დრო მოდისო.

აი, წარმოიდგინეთ ისეთი რა საშინელება უნდა მოხდეს, რომ დედამ თავისი ნაშიერი, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი შვილი ხელში არ აიყვანოს?!

არა და უფრო უარესი არ ხდება?

სანაგვეზე ყრიან თოთო ბავშვებს, მაგრამ იცით რა არის ესა? ისინი, ჯერ დედები არ არიან და იმიტომ ყრიან. მათ გაჩენილი ბავშვი - ადამიანი კი არა გონიათ, არამედ ბუნებრივი ნარჩენების გამონაყოფი. ჰოო, რანაირ საზიზღრობად არ უნდა მოგეჩვენოთ ჩემი ნათქვამი, ასეა. მე კი არ ვფიქრობ ამას, ისინი ფიქრობენ. არადედები. არდედები... აი, საჭმელს ხომ ჭამთ, მერე ინელებ და ბოლოს ეს ნარჩენები გამოდის ჩვენი ორგანიზმიდან - განავალის სახით. ჰოდა, ამათ ეს “სექსის” განავალი ჰგონიათ. სექსისა - სექსისა და არა სიყვარულისა.. იმიტომ, რომ სიყვარულს განავალი არა აქვს. ნამდვილ სიყვარულს ვგულისხმობ. ნაგავი და ასეთი რამეები მხოლოდ არანამდვილი რაღაცეებისაგან ჩნდება. ის რაც ნამდვილია - შეუძლებელია ნარჩენი ან ნაგავი გახდეს. ბოლო ბოლო ის რაღაცა დიდის და ძვირფასის ნაწილი გახდება, ან მუზეუმში დაიდებს ბინას. ძალიან ცოტა ნადვილია დღეს ჩენს ირგვლივ და ჩვენშიც. ჩვენშიც.

მოკლედ, სამყაროს გაფრენის პირასაა და… მე, როგორც იქნა მივხვდი რა ხდება და რატომ ხდება ასე სინამდვილეში. ძალიან დიდხანს ვფიქრობდი. ხან იქით მივდიოდი, ხან აქეთ ჩემი არეული ტვინითა და გონებით. არეული? - ჰაჰა, გიჟი არ გეგონოთ. სრულებით ნორმალური ვარ.

უბრალოდ ათას რამეს ღეჭავ ადამიანი ტვინით - ფიქრობ. ფიქრობ. ფიქრობ. იმდენი ახალი ან ძნელი ამბავი მოდის, რომ ვერ ასწრებ ყველაფერი დააგემოვნო - გადაამუშაო, დაარქვა თავ-თავისი სახელი და მერე სათანადო თაროებზე დააწყო საკუთარ გონებაში - თავში.

აი გონებაც - ტვინიც, ხომ კუჭივითაა. სტომაქში - კუჭში ლობიოს-ტორტს-ატამს - წიწაკას - ნაყინს - ქაბაბს - მარმელადს - ასპირინს - ღვინოს - ვალერიანს-აჯიკას-ჩურცხელას და საცივს, რომ ერთდროულად ჩაიყრი - რა მოგივა? დედა, ხომ ეტირება საჭმლის მონელების სისტემას?

ჰოდა, ტვინიც - გონებაც ასეა. ის ფიქრების, აზრების, იდეების, ისტორიების, ახალი და ძველი ამბების სტომაქია. მასაც გაფრთხილება უნდა - რომ არ უფრთხილდებიან, ხომ დადიან ტვინ აშლილები, ტვინგამობუასელებულები და ტვინშეკრულებბი. ეს ყველაფერი არასწორად ამბების მიღების მიზეზია.

მოქანდება შენდა უკითხავად ახალი, ცინცხალი შეტყობინებები - ფორმულაო - იმედიო - საოზიგადოებრივიო - სიენენიო - ბიბისიო - ვესტიო-ალჯაზირაო- ფეისბუქიო-ტიკტოკიო-ბეტმენიო-შოვის-ტრაგედიაო-რაგბიო-ფარულავოა-წიწამურიო-ჩინელებიო-სიცხეო-სმოგიო-მარჯანიშვილის თეატრიო-გიულას შორტებიო-ჩემპიონატიო-ფორუმიო-ვალუტისფასიო-ახალიკინოო-მეზობლისქალიო-ამინდიო… იმდენი რამეა, ზოგის დაღეჭვამდე სანამ მიხვალ სახლამდე უკვე გაფუჭებულია და ყარს.

ეს დამპალი და აჭრილი ამბავი შენში როა, ვერ გამოიღებ. იმიტომ რომ შეშვება შენი ნება იყო, მაგრამ გამოშვება არც ისე ადვილია. გინდა არწყიე გინდა მოისაქმე. თვინში მაინც უნდა მოხვდეს, უნდა შეაზანზაროს იქაურობა და თავისებურად მიფხიკ-მოფხიკოს ტვინის კოლოფი. დიახ, ვერ გადააგდებ სანამ არ გადაამუშავებ და ამას რომ აკეთებ იწამლები. ავად ხდები.

უბედურება რა არის იცით? ტვინს მაცივარი არა აქვს და არცერთი დღევანდელი ამბავი არ არის გრძელვადიანი - შემოუშვებ და თუ იმწამსვე არ “დაღეჭე”, ეგრევე იწყებს გაფუჭებას და სხვა ამბებსაც აყროლებს. ალპობს.

რა იყო? რა გაიკვირვეთ? რაკი სუნი არა აქვს გონიათ არა ყარს. მისი სიმყრალე სახეზე გვეტყობა. სახის ნაკვთებს სწორედ ეგ გვიფუჭებს. იკეთეთ მერე პლასტიკა და ჩაისხით ბოტექსი. თვალებს რას უზამთ? გადარეულ - დაძაბულ, არაბუნებრივ გამოხედვას? ვერაფერს... კარგი, რაც გქონდა უვარგისი ხდება და ამბები თუ უვარგისია, მოგონებებიც - ოცნებებიც - სურვილებიც ნაგავდება. მერე, გრძნობებზე და აზრებზე გადადის. მერე, მიზნებსა და იდეებზე. ბოლოს კი… ჰოდა, იქვეა ეს დასაღუპად განწირული ენაცა და საქმეც. ქვებს, რომ არ ვისვრით მადლობა უნდა გვითხრან ყველამ?

თუმცა, ეს “ყველა” ჩვენვე არა ვართ? ვის ან რას უნდა ვესროლოთ ქვები? “ვისა” ან “რასა”?

ჰოდა, ეს ყველაფერი გადამეტებული, მრავალგვარი, აბნეული, ახირებული, მყვირალა - “ახალი ამბების” - ინფორმაციების ბრალია. “ახალ ამბებს” საიდან ვიგებთ? ჰოო, საიდან მოდიან ეს “ვაი

ამბები” - ვუი ინფორმაციები? ტელევიზორიდან, რადიოდან, ინტერნეტიდან - ეს ყველაფერი რაზე მუშაობს? რაზე და დენზე… ვერ მიხვდით, საით მიმყავს აზრი?

კიდევ, საიდან ვიგებთ ამ ყველაფერს - გაზეთებიდან და ადამიანებიდან. აქ დენი არ არის საჭიროო. მაგრამ გაზეთები, ხომ იბეჭდება დაზგებზე, ტექსტები ხომ იკრიფება კომპიუტერზე?

ჰოდა, ის დაზგები და კომპიუტერები რაზე მუშაობენ? - დიახ, ელექტრო ენერგიაზე. დენზე. ახლა ადამიანებსაც მივადგეთ, ამ “ახალი ამბების” მატარებელ ჩემოდნებს, ყუთებსა და კარადებსა. დადიან, აგროვებენ, კრეფენ და კრეფენ. იწყობენ და იწყობენ გასიებულ თავებში. შეხვდები დიდი ხნის უნახავს, გინდა გული გადაუხსნა და ვერ დაელაპარაკები…

ეს მოყირჭული - “ვაა, გაუმარჯოს? როგორა ხარ? სხვა…

აი, ეს “სხვა” ნიშნავს, რომ ცარიელია კაცი, ანუ თავისი აღარაფერი აქვს. გადაუმუშავებული და უკვე გაფუჭებული ინფორმაციებითაა გატენილი.

ჰოდა, აღებს ამ თავის ჩემოდას, ყუთსა თუ კარადს. მოცულობას და მადას გააჩნია. სახეზე კმაყოფილი გამომეტყველებით გაჩვენებს “საქონლის მრავაფეროვნებას”, თან გამოფიტული თვალებით გეუბნება “აი, ახლა მოგაყრი და მოგაყრიო - გაგჭყლეტ სამყაროს მრავალფეროვნებითაო” და ყველა მხრიდან გატენის ამ დედარღნიან “იცი ეს…. გაიგონე, ესა… დედა კინაღამ დამავიწყდა, ეს რრომ არ გითხრა არ შეიძლება… მომისმინე მაგარი რამე უნდა გითხრა…” ااااااااااااااااااااااااااا?!

შენი მითხარი, შენი ნაფიქრი და განცდილი, გააზრებული და მოფირებული. დანახული და აღქმული. შენი ტვინით და გონებით მისულ თნდაც სულელური ამბისა მითხარი… დაანებე თავი ამ ჭრელა-ჭრულა შემოყრილი ისტორიების მოყოლას. ადამიანი ხარ თუ საინფორმაციო ღრუ. ვაი, რომ ღრუ ხარ, აბა ადამიანი რომ იყო შენსას მომიყვებოდი. ნაღად. ალალს. ისეთს, რაც არ ფუჭდება და მარადიულია.

მარადიული.

საიდან და როგორ ივსება ეს ნეკა თითის სიმსხო კისერზე დამაგრებული კარადები, ყუთები და ჩემოდნები? დაფიქრდით? კარგად დაფიქრდით? აბა, კიდე კარგად დაფიქრდით? რა უდევს ჯიბეში ადამიანს?

არ, დამიწყოთ ახლა საფულე, ცხვირსახოცი, ჯაყვა და ეგეთი რამეები.

ადამიანს ჯიბეში უდევს ის, რაც მას მთელ ამ ახალი და ძველი ამბების საინფორმაციო მორევთან აკავშირებს. “აკავშირებს” კარგი და ნათელი სიტყვაა, აქ ამ მდგომარეობის აღაწერად არ უნდა გამოვიყენოთ - “იწოვს”, “თხვრის”, “ტენის”, “ახრჩობს”, “ითრევს” - ეს უძირო საინფორმაციო ჭაობით.

რა უდევს ჯიბეში? უნდა ეს ადამიანს თუ არა, მას უდევს ჯიბეში - ტელეფონი.

უფრო უკეთესი სიტყვაა “ყურსასმენი”. მაგრამ ყურსასმენიც თბილის, ჰარმონიული სიტყვაა. ორი გასხვავებული ფორმის საოცარი მყნობა - ყურისა და სმენისა. აქ ეს სიტყვა არ გამოდგება - ტელეფონი ჯობია. ნაჯახივით ჟღერს. ტელეფონი - ჯახ. ტელეფონი - ჭახ.

“ტელეფონი” ამ საზიზღარ ელექტრო - მანქანა - ტრასფორმერს თვითდინებით ჰქვია.

თორემ ვის აინტერესებს მისი ზარები? ის სინამდვილეში - ტელეფონი კი არა - ესაა გასაბრუებელი საშუალება - ნარკოტიკი, საწამლავი, შარბათი ("მაგ შარბათით საწამლავს სვამ იცოდე"), რომელიც არ აძლევს ადამიანს - დაფიქრების და თავის თავთან დარჩენის საშუალებას. ადამიანს თუ არ შეუძლია დარჩეს მარტო, ეულად თავის თავთან და არ ააქვს იმის საშუალება, რომ იგრძნოს თავი ზეციური განმგებლის რჩეულად, უფლის შვილად, ღმერთის ხატად ის ადამიანი ვეღარ იქნება. ისიც ტრასფორმერად გარდაიქმნება. ხორცსისხლშესხმულ მრავალფუნქციურ მექანიზმად, რომელსაც სული არა აქვს მაგრამ აქვს მოთხოვნილების და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინდივიდუალური პროგრამა… ღმერთი კი ადამიანს, მხოლოდ მარტოობის დროს ელაპარაკება.

ჰო, კიდევ სხვაგან წავედი. მოკედ ტელეფონი, სინამდვილეში - რადიოა, მკითხველია, რუქაა, მრჩეველია, მასწავლებელია, ჭორიკანაა, კინოთეატრია, ფარული კამერაა, ფანარია, დამთვლელია, ფოტოაპარატია, კინოაპარატია, დიქტოფონია, სახატავი ფურცელია, საბეჭდი მანქანაა, ბანკია, მთარგმნელია, მასწავლებელია, გრძნობების გამოხატვერლია, ეფექტების მკეთებელია, მემონტაჟეა, მხატვარია, ხუმარაა, პროფესორია, მოგზაურია, წინასწარმეტყველია, პარტნიორია და კიდევ ათასი "ბედურება" თუ "უბედურება".

და ხომ იცით როგორ მუშაობს. იტენება დენით. ყველაფერში დამნაშავე არის დენი. ელექტროენერგიაა. საიდან ვიღებთ ელექტრო ენერგიას? სადენებისგან (იმიტომ ეძახის ზოგი ჩემნაირი მას "დენს") ელექტრო სადგურებისგან. რაზე მუშაობს ელექტრო სადგურები? წყალზე. ქარზე. მაზუთზე, საწვავზე, ატომურ ენერგიაზე და ბოლოს… როგორც იქნა მიხვდით - მზეზე.

უნდა გაგიმხილოთ ერთი დიდი ჭეშმარიტება - სანამ დენს მივიღებთ წყლისგან (სითხისაგან), ქარისგან (ჰაერისაგან) და ატომისგან (მიწისაგან). ჩვენ ვერ დავლაგდებით. იცით რატომ? იმიტომ, რომ სამყაროში არსებობს ოთხი სტიქია - ჰაერი, წყალი, მიწა, ცეცხლი.

აქედან სინათლეს ანუ დენს იძლევა ბუნებრივად, ანუ აქვს მისი გამოყოფის და გავრცელების ნიჭი, მხოლოდ ცეცხლს. აქედან გამომდინარე - ის, რომ ჩვენ დენს - ანუ სინათლეს, ანუ ცეცხლს ვიღებთ ჰაერისგან, წყლისგან და მიწისგან ძალიან დიდ დანაშაულს ჩავდივართ სამყაროს წინაშე. თითეულ არაცეცხლოვან სტიქიას ვპარავთ იმას რაც მის სულს, ენერგიას წარმოადგენს. ეს დაახლოებით იგივეა, რომ ცეცხლისგან ვიღებდეთ ჰაერს, წყალს და მიწას.

ანუ დაპირისპირებულ ძალებს ვაიძულებთ - მათი მტრის "გამრავლებას".

ხომ გახსოვთ? - საკონცენტაციო ბანაკებში ადამიანებისგან ამზადებდნენ - საპონს, კოსმეტიკურ საშუალებებს, და ასე შემდეგ. ჰოდა, დედამიწა ვაქციეთ საკონცენტრაციო ბანაკად. მხოლოდ ადამიანების მაგივრად წამებით ვკლავთ ბუნებას - სტიქიებს, ანუ იმათ რაც დედამიწას კოსმოსს, "ზე" და "ქვე" სამყაროს განაგებენ. მათ თუნდა ვეთაყვანებოდეთ და ამის მაგივრად - ვაგიჟებთ, ვტანჯავთ, ვანადგურებთ. და ისინიც შურს იძიებენ. დიახ, ისინი ძალიან მაგარი ხურდის დამბრუნებლები არიან.

არ აწყენინო ბუნებასო! ბუნებასო კენჭი თუ ესროლე, ისაო მთას გესვრისო! ბუნება გამგებელია ჩვენი მიწიერია, ღმერთი საყაროსი.

კარაქი, ყველი, ხაჭო, მაწონი, ნადუღი მიიღება რძისგან. ყურძნისგან მიიღება - ღვინო, ჩურჩხელა, თათარა, ჭაჭა. ხორცისგან მზადდება - მწვადი, ხინკალი, ქაბაბი, ხარჩო… ბევრი

რამისგან მიიღება ბევრი მისთვის მონათესავე რამე. მაგრამ, როცა რაღაცისგან იღებ ისეთ რაღაცას, რაც მას არ ახასიათებს, მის ჯიშში აარაა.თესავ ბოროტებას. სასოწაკვეთას. კატასტროფას… არ გჯერათ? გეცინებათ, კიდეც?!

კარგი ბატონო, მაშინ გადადეთ ტელეფონები, დაცალეთ თქვენი კარადები, გაანთავისუფლეთ თაროები და შეხედეთ ერთმანეთს, მერე კი მოიძიეთ ჩვენი წინაპრების ასი - ას წლის წინანდელი ფოტოები და შეადარეთ ისინი ჩვენს ერთმანეთს? ვერ ხედავთ რას ვგავართ?! რას დავემგვანეთ?! ისინი თუ იყვნენ გიჟები, ან ნორმალურები ამას პირდაპირ გამოხატავდნენ. არ თვალთმაქვცობდნენ.

ჩვენ კი რას ვშვებით? ჩვენ ვთამაშობთ ნორმალურობანასა და გიჟობანასაც და ამას იმიტომ კი არ ვაკეთებთ, რომ "ასეთები" ვართ? არამედ იმიტომ, რომ "ასეთები" არა ვართ, ვიცით რომ ვერც ვიქნებით და მაგრამ ძალიან გვინდა - პოპულარობა, ცნობადობა!

სამყაროს გვაწამებს - ჩვენი სურვილით, ვიცხოვროთ არა ბუნებრივად, არამედ ზებუნებრივად - ფუფუნებაში. მყუდროება კი, არც კი გვახსოვს რა არის?

მყუდროებას ფუფუნება - კომფორტი დავარქვით. ფუფუნება კი სპობს ბუნებრიობას. მოსპობილი ბუნებრიობა კი შობს დაუოკებელ სურვილს ვიყოთ ისეთები, როგორებიც ვერასოდეს ვიქნებით, რადგან, არა ვართ ბუნებრივები და ეს გვაწუხებს. სულის ამ ტკივილს კი იცით, რა ახშობს? - როცა გვესმის ჩვენი მისამართით:

"შეხედე, ეს ის არ არის? ვაიმე, ხოო ის არის! ღმერთო, რა სხვანაირია ახლოდან! დედაააა, ნახე როგორ აცვია?!". ეს, შეძახილები ახშობს ყველაფერს და ამ "აღფრთოვანებების" სურნელი გვათრობს შარბათივით, რომელიც საწამლავია და არა, ბედნიერების მომტანი სასმელი. დიახ, სწორედ პოპულარობისადმი დაუოკევბელი ლტოლვით გვსჯის ჩვენს მიერ "წამებული და გამოფიტამდე მიყვანილი" ოთხივე სტიქია.

წყალი, ჰაერი და მიწა იმიტომ, რომ მისგან ვიღებთ ცეცხლს. ცეცხლი - მზე იმიტომ, რომ სრუყლფასოვნად არ ვიყენებთ მას იმისათვის, რისთვისაც შექმნილია ეს დალოცვილი. ჰოო, სინათლეც კი გვჯის, იმიტომ რომ "არა ნათლისგან" მოპოვებული "სინათლე და ცეცხლი" სინამდვილეში არ არის "სითბო და მყუდროება". ის წვაა. ნელ ცეცხლზე წვა. კომფორტული დაცემა. პოპულარული "ვარდნა" საინფორმაციო ჭაობში… მყუდროებას მხოლოდ სულიერი სიმშვიდე და საღი გონება სჭირდება. კომფორტს კი არა.

ამიტომ გაუმარჯოს მზის ენერგიაზე მომუშავე სადგურებს. იქ სადაც სინათლე მრავლდება სინათლით. ცეცხლი - ცეცხლით. სითბო - სითბოთი. წყალი უნდა იძლეოდეს წყალს და ყინულს. ჰაერი ქარს და სიგრილეს. მიწა კი მოსავალს და საზრდოს. ბუნებასთან ჰარმონია კი მყუდროების სავანეს. სულიერ დიდებას. სანამ ასე არ მოვიქცევით, არაფერი გვეშველება. გაუმარჯოს, მზის ენერგიის ჰარმონიულად გამოყენებს და ნამდვილ სულიერ მყუდროებას... და ბოლოს იდინაუს, რატომ მეძახიან იცით?

იმიტომ რომ გინება არ მიყვარს. არც ცუდი სიტყვები მიყვარს. ამიტომ, როცა ვინმე ან რამე არ მომწონს, და მეტი საშველი არაა. ხელი რომ არ დავარტყა და ქართულ ენა არ წავბილწო, სიბინძურეს ვამბობ იმ ენაზე, რომელმა ენამაც ჩვენთან შემოიტანა გინება და სამწუხაროდ

დაამკვიდრა კიდეც ჩვენში. ენერგიას არ ვაცლი ჩვენს ენას. ვიყენებ “იმისას” და ვხარჯავ “იმისას”, რომლიდანაც მოვიდა “ეს ჭუჭყიანი ფრაზები”.

“იდი ნა *უი” - ელექტრო წყლისგან, ქარისგან და ატომისგან გამოწოვილო დენო.

შემოკლებით და კულტურულად კი: “იდინაუ” - ბოროტად წარმოქმნილო ელექტოობავ!

გაუმარჯოს მზის უსაზღვრო, თბილი, უხმო, ნათელ კეთილ, ულევ და მადლიან ენერგიას. ის, ტვინებს გაგვინათებსა და გულებს გაგვითბობს. სულებს დაგვიწმინდავს.

თუკი მოგეწონათ და დაინტერესდით ჩემი ვიდეოთი, ნაშინ მოიწონეთ და გამოიწერეთ ეს ჩემი ჩანაწერი. რაც უფრო მეტი იქნება მით უფრო მეტ სიახლეს მოგაწვდით. „იდინაუ ვიდეო“ თქვენს სამსახურშია. ეს მე ვარ „იდინაუ“ ანუ ლუხუმი. შეხვედრამდე. იცოდეთ არ ვღადაობ ნაღდი ნაფიქრი გაგიზიარეთ და გულით გელაპარაკე! მიყვარხართ ყველა! მართლა მიყვარხართ!